საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION
AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახური

SERVICE
OF PUBLIC RELATIONS

საქართველო, 0114 თბილისი, გულუას ქ. №6. ტელ : (+995 32) 72 72 24
www.moe.gov.ge
press@moe.gov.ge

№ 11/11 - 365

"12" 10 2010წ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2010 წლის 7 ოქტომბრის N20101009 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის მონიტორინგს და მის შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებს, გაცნობებთ, რომ სამინისტრო მიესალმება გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესებას და ელექტრონული მმართველობის საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურად მიახლოებას. მადლობას გიხდით ჩვენი ვებ-გვერდის მონიტორინგის ჩატარების და მის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების მოწოდებისთვის. ჩვენ მზად ვართ თქვენთან თანამშრომლობისთვის. ასევე, გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს სამინისტროს ვებ-გვერდის განახლება, რაც ხელს შეუწყობს მის დახვეწას და უფრო მეტ გამჭვირვალობას.

პატივისცემით

დავით გელოვანი

სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი